

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>1</sup> მუხლის თანახმად საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*პროექტი მოამზადა: ზურაბ ჩანტლაძე*